

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“

შიდა აუდიტორული ანგარიში

(01.01.2016-01.07.2016)

ბათუმი, 2016 წელი

ს ა რ ჩ ე ვ ი:

1. შესავალი - გვ. 3
2. შემოკლებანი - გვ. 4
3. ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ - გვ. 5
4. აუდიტის შედეგები - გვ. 5
5. შიდა აუდიტის სუბიექტის მოსაზრება - გვ.11

შესავალი

ფინანსური აუდიტის ჩატარების საფუძველი - სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ შიდა აუდიტის სამსახურის 2016 წლის წლიური გეგმა (შეთანხმებულია მრჩეველთა საბჭოსთან 2016 წლის 6 მაისის №01-01/07 გადაწყვეტილებით).

შიდა აუდიტის სუბიექტი - სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიოს“ შიდა აუდიტის სამსახური.

შიდა აუდიტის ობიექტი - სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ ფინანსური ეფექტიანობის სამსახური.

შიდა აუდიტორული შემოწმების სახე - ფინანსური აუდიტი.

ფინანსური აუდიტის პერიოდი - 2016 წლის 01 იანვრიდან 2016 წლის 01 ივლისამდე.

ფინანსური აუდიტის ჩატარების ვადა - 2016 წლის 1 ივლისიდან 2016 წლის 1 აგვისტომდე (დაწყება – დასრულება).

აუდიტის მიზანი - საჯარო სამართლის იურიდიული პირი - „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“-ს საქმიანობის გაუმჯობესებისათვის, მისი ფუნქციებისა და ამოცანების კანონმდებლობის შესაბამისად განხორციელებისათვის, შიდა აუდიტის ობიექტის ფინანსური ინფორმაციის სანდოობის, სიზუსტის და სისრულის შეფასება, დაწესებულების წინაშე არსებული რისკების გამოვლენა და მათი აღმოფხვრის მიზნით სათანადო რეკომენდაციების შემუშავება. აღნიშნული მიზნის მისაღწევად განხორციელდა დაწესებულების ფინანსური ეფექტიანობის სამსახურის საქმიანობის შემოწმება, შიდა

აუდიტორული შემოწმების ინდივიდუალური გეგმით გათვალისწინებული საკითხების მიხედვით.

შემოკლებანი:

მაუწყებელი

სსიპ - „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“

დირექტორი

სსიპ - „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“-ს დირექტორი

შიდა აუდიტის სუბიექტი

შიდა აუდიტის სამსახური

ბიუჯეტი

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი

ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ

ფინანსური ეფექტიანობის სამსახურის დებულება მაუწყებლის დირექტორის მიერ დამტკიცებულია 2016 წლის 01 მარტს N 02-03/08 ბრძანებით, რომლის თანახმადაც ფინანსური ეფექტიანობის სამსახური წარმოადგენს მაუწყებლის სტრუქტურულ ერთეულს და ანგარიშვალდებულია მაუწყებლის დირექტორის წინაშე. სამსახურის ძირითადი საქმიანობის სფეროა მაუწყებლის ფინანსური რესურსების ეფექტური მართვა და მდგრადობის ანალიზი და საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოება.

სსიპ - „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“-ს ფინანსური ანგარიშგება მზადდება „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე” საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის №429 ბრძანების შესაბამისად. ამასთან „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 35⁹ მუხლის შესაბამისად კვარტლის დასრულებიდან 15 დღის ვადაში სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭო ისმენს დირექტორის საქმიანობის ყოველკვარტალურ ანგარიშს, მათ შორის, ფინანსურ ანგარიშს, რომლის მომზადებაზე პასუხისმგებელია ფინანსური ეფექტიანობის სამსახური.

აუდიტის შედეგები

შიდა აუდიტორულმა შემოწმებამ მოიცვა შიდა აუდიტის სამსახურის უფროსის მიერ დამტკიცებული შიდა აუდიტორული შემოწმების ინდივიდუალური გეგმით განსაზღვრული საკითხების შესწავლა.

აუდიტორული შემოწმების პერიოდში ფინანსური ეფექტიანობის სამსახურის მიერ წარდგენილია 2015 წლის ფინანსური ანგარიშგება, რომელიც, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მაუწყებლის ფინანსურ მდგომარეობას.

2016 წლის პირველი და მეორე კვარტლის მიხედვით დირექტორის მიერ წარდგენილ ანგარიშებში ასახული ფინანსური ინფორმაცია შეესაბამება ბუღალტრულ დოკუმენტაციაში ასახულ მონაცემებსა და ბიუჯეტის საკასო შესრულებებს. 2016 წლის პირველი და მეორე კვარტლების მიხედვით ჯამურად მაუწყებლის ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებელი საბიუჯეტო გეგმასთან მიმართებაში სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსების ნაწილში შეადგენს 91,93%-ს, ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების ნაწილში (მიზნობრივი გრანტის გარეშე) კი - 27,32%-ს, ხოლო მიზნობრივი გრანტის (საქართველოში გაეროს წარმომადგენლობის მიერ სოფლის მეურნეობის შესახებ გადაცემების მომზადების დაფინანსება, რომელიც დასრულდა 2016 წლის პირველ კვარტალში) ნაწილში კი - 99,98%-ს.

შიდა აუდიტის სუბიექტის მიერ შესწავლილი იქნა მაუწყებელში დასაქმებული პირების, კერძოდ, გადაცემების ავტორებთან, რეჟისორებთან და პროდიუსერებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების პირობების შესრულება, კონტროლი და რეაგირება, შემოწმების შედეგად გამოვლინდა შემდეგი გარემოებები:

მაუწყებელში დასაქმებულ პირებთან 2016 წლის იანვრიდან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებებით (N02-15/209, 02-15/218, 02-15/120, 02-15/115, 02-15/181, 02-15/174, 02-15/121, 02-15/104, 02-15/113, 02-15/211, 02-15/71, 02-15/128, 02-15/129, 02-15/148, 02-15/159, 02-15/203), განსაზღვრულია მოსაწოდებელი გადაცემის ქრონომეტრაჟის ფარგლები, ჩაბარების პერიოდულობა, თვის განმავლობაში მოსაწოდებელი გადაცემების რაოდენობა, სასცენარო გეგმის ჩაბარების ვადები, გადაცემების ჩაბარების ვადები, ანონსების ჩაბარების ვადები. ამასთან, ხელშეკრულების თანახმად, გადაცემების ჩაბარება დასტურდება შესამაბისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით. განსაზღვრულია აღნიშნული ვალდებულებების შეუსრულებლობასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობის ზომები, რაც გამოიხატება დისციპლინარული სახდელის დაკისრებაში ერთი თვის გასაცემ ხელფასთან მიმართებაში.

მაუწყებლის სატელევიზიო მაუწყებლობის განვითარების სამსახურის დებულების თანახმად, გადაცემების ჩაბარებას ახორციელებს გადაცემების მიღების სპეციალისტი.

აღნიშნულ ხელშეკრულებათა უმეტეს ნაწილში გადაცემების ჩაბარება დასაქმებულებს ევალებათ ყოველთვიურად, გარდა, იანვრისა და აგვისტოსი (მოსამზადებელ პერიოდებს წარმოადგენს). შესაბამისად, შესამოწმებელ პერიოდში შესწავლილი იქნა 2016 წლის თებერვლიდან ივნისის ჩათვლით არსებული მიღება-ჩაბარების აქტები, რომლის შედეგადაც გამოვლინდა შემდეგი ნაკლოვანებები და უზუსტობები:

- ხელშეკრულებების პირობების თანახმად, თუ თვის განმავლობაში მოსაწოდებელია მხოლოდ 1 გადაცემა, მისი ჩაბარება უნდა მოხდეს არაუგვიანეს თვის 15 რიცხვისა, 2 გადაცემის მოწოდების ვალდებულების შემთხვევაში - არაუგვიანეს თვის 15 და 30 რიცხვებისა, ხოლო 4 გადაცემის მოწოდების ვალდებულებისას კი - არაუგვიანეს თვის 7, 14, 21, და 28 რიცხვებისა. მიღება-ჩაბარების აქტები შედგენილია ძირითადად თვის 18 რიცხვიდან 24 რიცხვამდე პერიოდებში, თუმცა, მასში არ არის ასახული დროულად მოხდა თუ არა (ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში) გადაცემების ჩაბარება (მაგალითად, 15 რიცხვში ჩასაბარებელი გადაცემა ჩაბარდა დროულად თუ დაგვიანებით ანუ მიღება-ჩაბარების აქტებით არ ირკვევა გადაცემების ჩაბარების დრო). გადაცემების მიღების სპეციალისტთან გასაუბრების შედეგად, დადგინდა, რომ მიღება-ჩაბარების აქტები შედგენილია გადაცემების ჩაბარების მომდევნო რიცხვებში, თუმცა, ვალდებულებები ამ შემთხვევაში შესრულებულია დროულად. აღნიშნული გარემოება რისკის შემცველია, ვინაიდან შესაძლოა სადაო გახდეს ვალდებულების ჯეროვნად შესრულების დროის განსაზღვრა.

- მიღება-ჩაბარების აქტებში არ არის მითითებული მიღებული გადაცემების ქრონომეტრაჟი (მოცემულია მხოლოდ რამდენიმე მათგანში, რომელშიც დარღვეულია აღნიშნული მოთხოვნა და შესაბამისი დისციპლინარული სახდელი დაკისრებული არ არის), რომლის დარღვევაზეც ხელშეკრულებებით დადგენილია სანქციები - ნაწილში ხელფასის 20%-ს და ნაწილში ხელფასის 100%-ს ოდენობით. ამდენად, აუდიტის სუბიექტმა ვერ მოიპოვა საკმარისი მტკიცება იმის დასადასტურებლად, რომ ხელშეკრულების პირობები ქრონომეტრაჟის დაცვის ნაწილში კონტროლდება სათანადოდ.

- ხელშეკრულებების თანახმად, ერთ-ერთ მოთხოვნას წარმოადგენს განსაზღვრულ ვადაში სასცენარო გეგმის ჩაბარება, რომლის შეუსრულებლობის შემთხვევისათვისაც განსაზღვრულია დისციპლინარული სახდელის დაკისრება ხელფასის 10%-ის ოდენობით. სატელევიზიო მაუწყებლობის განვითარების სამსახურის დებულების თანახმად, სასცენარო გეგმის ჩაბარებაზე პასუხისმგებელია გადაცემის მიღების სპეციალისტი/კოორდინატორი. შესამოწმებელ პერიოდში არ ფიქსირდება არც ერთი დისციპლინარული სახდელის დაკისრების შემთხვევა ხელშეკრულების ამ პირობის შეუსრულებლობის გამო. თუმცა, აუდიტის ობიექტის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი საკმარისი მტკიცება იმის შესახებ, რომ აღნიშნული ვალდებულებების შესრულება სათანადოდ კონტროლდება და შესაძლებელია მისი დადასტურება.

- შრომითი ხელშეკრულებების თანახმად, გადაცემების ჩაბარების პროცესის ბოლო ეტაპს წარმოადგენს ანონსის ჩაბარების ვალდებულება (გადაცემების ჩაბარებიდან 1 ან 2 კალენდარულ დღეში), რომლის შეუსრულებლობის შემთხვევაშიც გათვალისწინებული სანქცია შეადგენს ხელფასის 5%-ს. შესამოწმებელ პერიოდში არ ფიქსირდება არც ერთი დისციპლინარული სახდელის დაკისრების შემთხვევა ხელშეკრულების ამ პირობის შეუსრულებლობის გამო. თუმცა, ამ შემთხვევაშიც აუდიტის ობიექტის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი საკმარისი მტკიცება იმის შესახებ, რომ აღნიშნული ვალდებულებების შესრულება სათანადოდ კონტროლდება და შესაძლებელია მისი დადასტურება.

- შესამოწმებელ პერიოდში გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტების შესწავლის შედეგად ფიქსირდება შემთხვევები, როცა თვის განმავლობაში გადაცემები არ არის სრულად ჩაბარებული (4-ის ნაცვლად მიღებულია 3) ან საერთოდ არ არის მიღებული. თუმცა, შესამოწმებელი პერიოდის განმავლობაში დაკისრებულია მხოლოდ 1 დისციპლინარული სახდელი ხელფასის 50%-ის ოდენობით ერთ-ერთი საავტორო გადაცემის ავტორისა და რეჟისორის მიმართ 2016 წლის აპრილის თვეში გადაცემის ჩაუბარებლობის გამო, თუმცა, ხელშეკრულება ითვალისწინებდა მოცემულ შემთხვევაში ხელფასის გაუცემლობას.

- რამდენიმე ხელშეკრულებას (№02-15/71, №02-15/128, №02-15/129, №02-15/115) თან ერთვის დანართი, რომელშიც გაწერილია თვეების მიხედვით მოსაწოდებელი გადაცემების გრაფიკი შესაბამისი თემატიკით. ფაქტიურად გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტებში ასახული გადაცემები კი არ ემთხვევა მას. მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულებები ითვალისწინებს დანართებში ასახული თემისა და შინაარსის ცვლილებას, აუდიტის სუბიექტის მიერ ვერ მოხდა საკმარისი მტკიცების მოპოვება იმის შესახებ, ამავე ხელშეკრულების პირობების თანახმად ხდება თუ არა 1 თვით ადრე სამსახურის ხელმძღვანელთან შეთანხმებული ახალი სასცენარო გეგმის წარმოდგენა სატელევიზიო მაუწყებლობის განვითარების სამსახურში ან/და ვალდებულების შეუსრულებლობა გამოწვეულია თუ არა საპატიო მიზეზით, რომლის დადასტურებაც, ასევე, ევალება სატელევიზიო მაუწყებლობის განვითარების სამსახურს შესაბამისი აქტის (დასკვნის) შედგენით.

- 2016 წლის 20 მაისს გადაცემა „თეთრი კვადრატის“ ავტორთან გაფორმებულ მიღება-ჩაბარების აქტს (#02-32/216) ხელს აწერს სატელევიზიო მაუწყებლობის განვითარების სამსახურის უფროსი - აღნიშნული პერიოდისთვის გადაცემების მიღებაზე არაუფლებამოსილი პირი, ვინაიდან გადაცემების მიღების სპეციალისტი მოცემულ პერიოდში შვებულებაში ან/და მივლინებაში არ იმყოფება.

შეფასება:

აუდიტის სუბიექტის მიერ ვერ იქნა მოპოვებული საკმარისი მტკიცებულება იმის შესახებ, რომ მაუწყებლის მიერ ხორციელდება გადაცემების ავტორებთან, რეჟისორებთან და პროდიუსერებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების პირობების შესრულების სათანადო კონტროლი და რეაგირება - დისციპლინარული სახდელების დაკისრება არაშერჩევითი მეთოდებითა და ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ოდენობით, რაც შესაძლოა უარყოფითად აისახოს შრომის ანაზღაურებისათვის მაუწყებლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ხარჯების რაციონალურად ხარჯვაზე.

რისკები:

1. ხელშეკრულებებით გათვალისწინებული დისციპლინარული სახდელების არაგონივრული ოდენობები (ხშირ შემთხვევაში ხელფასის 100%, მიუხედავად ჩაბარებული გადაცემების რაოდენობისა) შეიცავს იმის რისკს, რომ იგი არ იქნეს გამოყენებული, რაც ასევე უარყოფით გავლენას ახდენს შემდგომში დასაქმებულის მიერ ვალდებულებების ჯეროვნად შესრულების უზრუნველყოფაზე.

2. ხელშეკრულებებით გათვალისწინებული პირობების - სასცენარო გეგმის ჩაბარების, ქრონომეტრაჟის დაცვის, ანონსების ჩაბარების ვალდებულებების არასათანადო კონტროლი უარყოფითად აისახება როგორც დასაქმებულის ვალდებულებათა ჯეროვნად შესრულებაზე, ისე ხარისხიანი პროდუქტის მოწოდებაზე, რაც ამავე დროს არ ასაბუთებს ამ მიზნით მაუწყებლის მიერ გაწეულ ხარჯების მიზნობრიობას.

3. მაუწყებელში ხორციელდება გადაცემების ავტორებთან, რეჟისორებთან და პროდიუსერებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების პირობების შესრულების არასათანადო კონტროლი და რეაგირება შეუსრულებელ ვალდებულებებზე, რაც შეიცავს მისი საქმიანობის არაეფექტიანად განხორციელებისა და შესაბამისად, შრომის ანაზღაურების ხარჯების არარაციონალური გამოყენების რისკებს.

რეკომენდაციები:

1. შრომითი ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლის განმახორციელებელი პირების მიერ სათანადოდ უნდა იქნას შესრულებული ვალდებულებები, კერძოდ, განხორციელდეს გაწეული სამუშაოს დოკუმენტირება იმ მოცულობით, რაც გათვალისწინებულია შრომითი ხელშეკრულებით.

2. მოხდეს შრომითი ხელშეკრულების დარღვევისათვის დაკისრებული სახდელების გადახედვა, კერძოდ, დისციპლინური სახდელის დაკისრებისას მხედველობაში იქნას

მიღებული ჩადენილი გადაცდომის სიმძიმე და დისციპლინური გადაცდომის ჩამდენი პირის ყოფაქცევა.

3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა ვალდებულების შესრულების კონტროლი უნდა განხორციელდეს სათანადოდ, შესაბამისი უფლებამოსილი პირების მიერ.

შიდა აუდიტის სუბიექტის მოსაზრება

მაუწყებლის მიერ არ ხორციელდება გადაცემების ავტორებთან, რეჟისორებთან და პროდიუსერებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების პირობების შესრულების სათანადო კონტროლი და რეაგირება, რომლის ფარგლებშიც გამოკვეთილია სხვადასხვა რისკები, რაც საერთო ჯამში შიდა კონტროლის სისუსტეზე მიუთითებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შიდა აუდიტის სუბიექტის მიერ შემუშავებული და გაცემული იქნა შესაბამისი რეკომენდაციები.

შიდა აუდიტის სამსახურის

უფროსის მოადგილე

ეკატერინე შაინიძე

01.08.2016